

„თუ პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი სასამართლოს დამოუკიდებლობის დაცვას ისეთ მოსამართლესთან ერთად აპირებს, როგორც ლევან მურუსიძეა, პირდაპირ ვაცხადებ, რომ ეს არის ყალბი განცხადება და არანაირად სასამართლოს დამოუკიდებლობისკენ არ არის მიმართული პრემიერის ნება“, - ასეთ შეფასებას აკეთებს გირგვლიანის საქმის ადვოკატი, პარლამენტარი შალვა შავგულიძე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის ლევან მურუსიძისა და პრემიერ ღარიბაშვილის შეხვედრაზე, რომელიც მთავრობის ადმინისტრაციაში მიმდინარე წლის 7 ივლისს შედგა.

„დიდი მადლობა მინდა, გადავუხადო ბატონ ლევან მურუსიძეს“ - იუსტიციის საბჭოს მდივნის მიმართ გამოთქმული ეს სამადლობელი საქართველოს მოქმედ პრემიერს, ირაკლი ღარიბაშვილს ეკუთვნის.

ციტატა პრემიერ ღარიბაშვილის სიტყვიდან: „მე მოვისმინე ლევან მურუსიძის შეხედულებები სასამართლო რეფორმასთან დაკავშირებით. რომელიც არის განხვავებული იმისგან, რაც იყო წარმოდგენილი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ და ასევე ჩვენი მთავრობის მიერ იქნა მოწონებული და გადაგზავნილია პარლამენტში. ჩვენ ყურადღებით მოვისმინეთ და შევისწავლით ბატონი ლევანის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს და მიმაჩნია, რომ კონსულტაციები უნდა გაგრძელდეს პარლამენტში. ვისაუბრეთ ასევე იმაზე, რომ აუცილებელია განმტკიცდეს სასამართლოს დამოუკიდებლობა. სასამართლო უნდა იყოს აბსოლუტურად თავისუფალი ყოველგვარი ჩარევებისგან. ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარი არის სასამართლოს დამოუკიდებლობა. ჩვენ ამ გზაზე ვიქნებით აბსოლუტურად შეუპოვარი. ამ საკითხთან დაკავშირებით აბსოლუტურად ერთ აზრზე ვართ, სასამართლოს დამოუკიდებლობა უნდა გაგრძელდეს.“

შალვა შავგულიძე: „პრემიერი ღარიბაშვილი ისეთ მოსამართლეს ეყრდნობა, რომელმაც აბსოლუტურად პოლიტიკური შეკვეთა შეასრულა გირგვლიანის საქმეზე, რასაც ევროპულმა სასამართლომ უმკაცრესი შეფასება მისცა.შევახსენებ ირაკლი ღარიბაშვილს, რომ სწორედ იმ გადაწყვეტილების გამო, რომლის მონაწილედ ლევან მურუსიძე გახლდათ, ევროსასამართლომ პირდაპირ დაწერა თავის გადაწყვეტილებაში: „საქართველოს სამივე ინსტანციის სასამართლო ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ამ საქმეზე მართლმსაჯულება არ აღსრულებულიყო!“

როდესაც ასეთ შეფასებას აძლევს ევროპული სასამართლო კონკრეტულად ამ მოსამართლის საქმიანობას, ვფიქრობ ეს მოსამართლე არ უნდა იმსახურებდეს მაინცდამაინც მაღალ ნდობას. ის არ უნდა იქნას წარდგენილი იუსტიციის საბჭოს მდივნად და არ უნდა იქნას არჩეული. ეს თანამდებობა მისთვის შეუფერებელია!“

შალვა შავგულიძის განცხადებით, ლევან მურუსიძე გახლავთ ერთ-ერთი მოსამართლე საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებისა გირგვლიანის საქმეზე.

„ამ გადაწყვეტილებით მან დაზარალებული ირინა ენუქიძისა და გურამ გირგვლიანის საკასაციო საჩივარზე თქვა უარი. ხოლო ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ბრალდებულების საკასაციო

საჩივარი და მათთვის დანიშნულ სასჯელზე ბრალდების ნაწილში გამართლებულ იქნენ და შეუმცირდათ ისედაც მსუბუქი სასჯელი და 6 წლამდე იქნა დაყვანილი. რაც შეეხება ბატონი პრემიერის განცხადებას, რომ ის ლევან მურუსიძის თანამოაზრეა, სასამართლოს დამოუკიდებლობის საკითხში, სასამართლო დამოუკიდებელი რომ უნდა იყოს, ამას ყველა ამბობს. მაგრამ, სიტყვას ფასი არ აქვს, თუ ის საქმით არ განმტკიცდება.

მე გამკვირვებია, პრემიერმინისტრმა სასამართლოს დამოუკიდებლობის დაცვაში რატომ შეარჩია ასეთი მოსამართლე. იცით, გემოვნებაზე არ დავობენ. ღმერთმა სიკეთეში მოახმაროთ მურუსიძეს და ღარიბაშვილს ერთმანეთი.

თუ ასეთ მოსამართლეებთან აპირებს პრემიერი სასამართლოს დამოუკიდებლობის დაცვას, შემიძლია ვთქვა, რომ ეს არის ყალბი სიტყვები და ის სინამდვილეში არ ცდილობს სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას. პირიქით, ასეთი სასამართლოს ხელში შეიძლება კონტროლი განახორციელოს მმართველმა ძალამ და მეტი არაფერი. ვიმეორებ, გემოვნებაზე არ დავობენ. ღმერთმა სიკეთეში მოახმაროთ ერთმანეთი!"

ბატონო შალვა, ლევან მურუსიძე ის მოსამართლეა, რომელმაც უზენაესი სასამართლოს ამჟამინდელ თავჯდომარეს, ნინო გვენეტაძესაც გამოუტანა განაჩენი 2005 წელს ორ სხვა მოსამართლესთან ერთად, მათ შორის მერაბ ტურავასაც, რომელიც დღეს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეა. ისინი სამოსამართლო საქმიანობას ჩამოაცილეს. ის ფიგურირებს ასევე სულხან მოლაშვილის საქმეშიც... ფიქრობთ, რომ პრემიერმა ეს ყველაფერი არ იცოდა?

არა, არ ვფიქრობ მასე, მაგრამ თუ არ იცოდა, მით უარესი. ეტყობა ამ შეხვედრას გარკვეული პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა და იმის საჯაროდ აფიშირებასაც, რომ პრემიერი სასამართლო ხელისუფლებაში ლევან მურუსიძეს ეყრდნობა.

დიახ, მურუსიძე იყო სულხან მოლაშვილის საქმის მოსამართლე, სადაც სახელმწიფოს მოუწია ცალხმრივად აღიარება იმისა, რომ მოლაშვილის მიმართ ევროკონვენციის 11 მუხლი იყო დარღვეული.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ღარიბაშვილ-მურუსიძის შეხვედრა გარკვეულ პოლიტიკურ დატვირთვას ატარებდა. ალბათ, ეს იყო გალაშქრება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წინააღმდეგ. მეტი სიღრმეებში ვერ წავალ, რადგან უფრო მეტი სამზარეულო არ ვიცი. არც მაინტერესებს და არც მაქვს სურვილი ვიცოდე.

ვიცი ერთი, რომ სასამართლო ხელისუფლებაში ადვილად მოიძებნება შეუბღალავი რეპუტაციისა და კვალიფიური მოსამართლეები. სჯობს ხელისუფლებამ ასეთი მოსამართლეები იპოვოს, დაეყრდნოს და იზრუნოს სასამართლოს დამოუკიდებლობის დაცვაზე და არა ისეთი მოსამართლეები, რომლითაც „ნაცმოდრაობის“ ხელისუფლება ახდენდა პოლიტიკურ დაქვემდებარებას და სრულ დამორჩილებას სასამართლო ხელისუფლების. ნუ ჩაენაცვლებიან „ნაცმოდრაობას“ ამ ცუდ საქმეში.

